

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2015 წლის იანვარ-ივლისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2015 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 5 690 949.2 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 4 613 245.6 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 152 005.9 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 43 546.0 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 882 151.8 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-ივლისში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (4 613 245.6 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (5 728 745.3 ათასი ლარი) 80.5%;

– გადასახადების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 453 800.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული 4 312 178.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 79.1%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 152 100.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 814 703.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 84.3%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 414.3 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 120.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 79.2%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (694 306.8 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (737.8 ათასი ლარი) 94.1%;

„სხვა გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია შეადგინა 99.2 ათასი ლარი;

- ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 3 200 100.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 443 339.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 76.4%-ია; მათ შორის:
 - „დამატებული ღირებულების გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 524 100.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 960 052.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 77.7%;
 - „აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 483 286.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (676 000.0 ათასი ლარი) 71.5%-ია;
 - ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 82 900.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 41 074.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 49.5%-ია;
 - „სხვა გადასახადების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 18 700.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 13 062.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 69.9%.
- გრანტების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 119 385.3 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 133 181.4 ათასი ლარი (რაც გეგმის 111.6%-ია); მათ შორის:
- ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 50 744.0 ათასი ლარი;
 - სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 8 601.0 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;
 - ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 44 680.0 ათასი ლარი;
 - სხვა გრანტები – 1 151.9 ათასი ლარი;
 - „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 28 004.5 ათასი ლარი.
- „სხვა შემოსავლების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 155 560.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 167 885.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 107.9%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები,

გრანტების გარდა 9 876.0 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2015 წლის იანვარ-ივლისში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (152 005.9 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (47 700.0 ათასი ლარი) 318.7%;

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 43 546.0 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (45 400.0 ათასი ლარი) 95.9%-ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 43 542.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (45 400.0 ათასი ლარი) 95.9%;

შემოსულობები სხვა დებიტორული დავალიანებებიდან – 3.4 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 882 151.8 ათასი ლარი (რაც გეგმის – 1 229.5 ათასი ლარის 71.7%-ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 336 714.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (500 000.0 ათასი ლარი) 67.3%-ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 545 437.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (729 538.0 ათასი ლარი) 74.8%-ია, მათ შორის:

– ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი – 293 822.2 ათასი ლარი;

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 117 905.6 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 133 709.5 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 127 918.5 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიანი ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის,

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2015 წლის იანვარ-ივლისში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 195.9 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 434 414.8 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 434 239.8 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 175.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 აგვისტოსთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 817 219.3 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 816 736.4 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) 482.8 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების თანახმად – 172 835.1 ათასი ლარი და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად – 99 996.0 ათასი ლარი (სულ 272 831.1 ათასი ლარი), სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 382 804.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2015 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 4 613 245.6 ათასი ლარის მოცულობით (ცხრა თვის გეგმა 5 728 745.3 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 4 516 950.9 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა 5 946 359.1 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 96 294.6 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა -217 613.8 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 135 091.1 ათასი ლარი: მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 152 005.9 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 287 097.0 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -38 796.4 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა -767 510.3 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №430 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 7 141 498.4 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 6 572 575.1 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 568 923.3 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 6 011 211.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 5 308 144.7 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 4 954 347.2 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 353 797.4 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 88.3%, ხოლო გეგმის 74.3%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2015 წლის იანვარ-ივლისის მთლიან ხარჯებში შეადგინა 93.3%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 6.7%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით

განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-ივლისში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდებულ ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 1 050 544.9 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 935 872.4 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 782 906.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 83.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 74.5%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 715 489.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 566 416.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 502 439.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 88.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 70.2%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 266 123.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 222 310.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 190 640.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 85.8%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 71.6%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 98 015.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (129 685.2 ათასი ლარი) 75.6%-ს შეადგენს;
- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 92 625.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (92 625.2 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 181 747.0 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 149 926.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 140 268.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.6%-ს და გეგმის 77.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 17 830.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 17 048.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.6% და ვალდებულების (17 048.1 ათასი ლარი) 100%-ია;

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 834 525.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 665 953.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (668 849.1 ათასი ლარი) 99.6% და საგეგმო მაჩვენებლის 79.8%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2015 წლის იანვარ-ივლისში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 648 015.9 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (649 953.5 ათასი ლარი) 99.7%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2015 წლის იანვარ-ივლისში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 586 100.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 938 438.5 ათასი ლარი) 81.8% და საგეგმო პარამეტრის (2 013 440.0 ათასი ლარი) 78.8%-ია.

აღნიშნული მუხლიდან სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 1 509 770.8 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 158 167.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 76.7%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 795 543.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 030 139.8 ათასი ლარი) და გეგმის (1 030 157.2 ათასი ლარი) 77.2%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 465 965.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 352 424.9 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (465 950.8 ათასი ლარი) 75.6%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 472 048.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 403 668.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 85.5% და ვალდებულების (404 058.7 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 884 487.9 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 719 533.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 648 644.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90.1%-ს და გეგმის 73.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 312 755.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 268 794.7 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (312 755.3 ათასი ლარი) 85.9%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 49 000.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 47 164.6 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (47 164.6 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 100% და საგეგმო მაჩვენებლის 96.3%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 597 596.6 ათასი ლარის ასიგნებები;

საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 293 488.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 287 097.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.8%-ს და გეგმის 48%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 372 886.7 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 167 957.6 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (166 291.0 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99% და საგეგმო მაჩვენებლის – 44.6%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის ცხრა თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 267 199.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 213 876.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 213 692.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და გეგმის 80%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 21 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 29 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 70.7% და ვალდებულების 100%-ია.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 330 343.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 302 498.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 290 404.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96% და გეგმის 87.9%-ია. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 265 176.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (265 176.3 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 25 228.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (37 322.2 ათასი ლარი) 67.6%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 7 539.6 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 5 349.5 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა“ – 1 011.9 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 1 178.2 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2015 წლის პირველი აგვისტოსთვის შეადგინა 106.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2015 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 4 804 047.9 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 099 261.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 436 699.2 ათასი ლარი) 76.5%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 204 287.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (278 808.2 ათასი ლარი) 73.3% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 18.6%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა – 190 566.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (266 050.0 ათასი ლარი) 71.6% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.3%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 481 591.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 349 482.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 72.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (4 804 047.9 ათასი ლარი) 7.3%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 727 143.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 528 296.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 72.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 365 673.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (495 314.4 ათასი ლარი) 73.8%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (57 014.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (80 699.7 ათასი ლარი) 70.6%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 67 129.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (87 074.0 ათასი ლარი) 77.1%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 803 314.5 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 462 772.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 57.6%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (16 319.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (28 727.2 ათასი ლარი) 56.8%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (114 009.9 ათასი ლარი), გეგმის (142 849.5 ათასი ლარი) 79.8% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 514 809.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 269 881.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 52.4%.

გარემოს დაცვის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 33 487.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 20 716.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 61.9%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 68 947.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 17 125.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 24.8%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 53 730.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 11 649.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 21.7%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 553 249.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 473 805.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 85.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.9%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 390 113.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (338 159.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებელის 86.7%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (80 960.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (91 550.4 ათასი ლარი) 88.4%; საზოგადოებრივი

ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 8 965.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (12 088.4 ათასი ლარი) 74.2%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 133 148.5 ათასი ლარით, რაც 2015 წლის ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (171 318.0 ათასი ლარი) 77.7%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 33 707.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (26 784.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 79.5%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 639 659.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 473 010.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 74% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.8%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 301 333.4 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (358 786.6 ათასი ლარი) 84%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 77 561.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (93 836.0 ათასი ლარი) 82.7%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 1 628 544.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 246 428.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 76.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 25.9%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 030 371.3 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 795 737.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 77.2%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 360 854.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (487 881.1 ათასი ლარი) 74%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდაცხრამეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 1 838.4 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 1 091.0 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2015 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 747.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდაჩვიდმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 54 899.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 51 773.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 აგვისტოსთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 3 126.5 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდათერთმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 151 280.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 141 365.1 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 აგვისტოსთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 9 915.4 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 12 851.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 9 935.3 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 7 918.4 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 330.2 ათასი ლარი. მათ შორის: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიძღრათა 5 430.8 ათასი ლარი (გეგმა – 7 000.0 ათასი ლარი); სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საგარეო-სხვა კრედიტორული დავალიანების დაფარვის გეგმამ შეადგინა 918.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა – 899.4 ათასი ლარი.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16 000.0 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 947.2 ათასი ლარი; აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად გამოეყო 174.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 174.7 ათასი ლარი), ხოლო სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 11 883.2 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 11 883.2 ათასი ლარი).

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებშიც) (გეგმა – 816.3 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 483.2 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 1 947.2 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2015 წლის იანვარ-ივლისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.